(2)

*პროექტი*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**განკარგულება №**
**---აგვისტო 2024 წელი**

**ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩის მონაკვეთისთვის ირაკლი ქემოკლიძის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

2. გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ირაკლი ქემოკლიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**


01.11.04.027.085
01.11.04.027.009
01.11.04.026.157
01.11.04.028.079
01.11.04.026.111
01.11.04.026.155
01.11.04.028.025
01.11.04.026.153
01.11.04.029.125
01.11.04.029.177
01.11.04.026.012
01.11.04.029.004
01.11.04.028.094
01.11.04.028.114
01.11.04.029.046
01.11.04.026.039
01.11.04.029.095
01.11.04.029.078
01.11.04.029.108
01.11.04.026.018
01.11.04.026.039
01.11.04.029.105
01.11.04.029.137
01.11.04.029.067
01.11.04.026.110
01.11.04.029.120
01.11.04.029.068
01.11.04.029.089
01.11.04.029.103
01.11.04.026.046
01.11.04.029.002
01.11.19.002.013
01.02.049
01.00.687
01.02.219
01.01.442
01.00.407
01.00.287
01.02.317
01.01.903
01.00.499
01.01.878
01.04.8
გიორგი მინდელის ხიდი
თენგიზ შუშელიძის ქუჩა
ფეოფილ ხინკიკაძის ქუჩა
ალექსანდრეს ქუჩა
ქარნაბის ქუჩა

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY



წერილის ნომერი:**03-032236357**
თარიღი: **29/12/2022**



**ადრესატი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გიორგი ტყემალაძე
თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
ნინო ვარდოსანიძე
თავმჯდომარე


**მოგესალმებით,**

ქალაქ თბილისის საკრებულოს პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" აპარატს თხოვნით მოგვმართა, "სმენის, მეტყველებისა და ინტელექტუალური შეფერხების მქონე პირთა" ასოციაციის ხელმძღვანელმა მაია ასაკაშვილმა, რომელიც გახლავთ ქმედუნარიანობის სისტემის ფუძემდებლის ირაკლი ქემოკლიძის დედა.

ირაკლი ქემოკლიძე იყო პირველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელმაც საქმე მოიგო საკონსტიტუციო სასამართლოში. ირაკლის სარჩელის საფუძველზე განხორციელდა რეფორმა, რომლითაც მხარდაჭერის მიმღებ პირებს დაუბრუნდათ სამოქალაქო უფლებები, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

შშმ პირთა დაცვისა და გამორჩეული სამოქალაქო აქტივიზმისთვის, როგორც უფლებადამცველი და სამოქალაქო აქტივისტი, ირაკლი ქემოკლიძე გარდაცვალების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2021 წლის 10 დეკემბერს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

ირაკლი ქემოკლიძე ცხოვრობდა, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, N73-ში 1-ელ "ბ" კორპუსში. გთხოვთ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილოს ირაკლი ქემოკლიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან არსებული სკვერის ან მის საცხოვრებელ სახლთან არსებული რომელიმე ქუჩის სახელდების საკითხი.

ნინო წულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

სმენისა და მეტყველების
დარღვევის მქონე ბავშვთა
დახმარების ასოციაცია

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.73
I ბ. კორპუსი, ოთახი 14
ტელ: . 232. 34. 82. 599 51-33-97 .

ASSOCIATION OF HELPING
CHILDREN WITH HEARINGAND
SPEAKING DISORDERS

73 Vazha -Pshavela ave. Tbilisi House I,
Room 14
232-34-82, 599 51-33-97
asakashvili_maia@yahoo.com

----მ/ა---113----- ----------28. XII----------2022წ.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

თბილისის საკრებულოს წევრს ნინი წულაძეს

მოგახსენებთ,რომ ვარ ,,სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის'' ხელმძღვანელი, ამავე დროს თბილისის მერთან და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს წევრი,ვმუშაობ ინტელექტუალური განვითარების შეფერხების მქონე პირთა მიმართულებით. ჩვენი ორგანიზაცია დაფუძნებულია შშმ პირთა მშობელთა .მიერ 1997 წელს.ორგანიზაციას არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული შშმ პირთა განათლების,სოციალური მეწარმეობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისა და შშმ პირთა უფლებების დაცვის,ადვოკატირების მიმართულებით. 2016 წელს თბილისის მერიისა და დონორების მხარდაჭერით, პირველად საქართველოში არაფორმალური განათლების მეთოდებითა და შშმ ახალგაზრდების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მიდგომების გამოყენებით, ხის საწარმო- ,,სხივი'' გაიხსნა,რომლის მიზანია შშმ ახალგაზრდების ისეთ ცოდნასა და კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობა,რომელიც მათ შრომით ეფექტიანობას, კონკურენტუნარიანობასა და მხარდაჭერის გზით შრომით ბაზარზე მისაწვდომობასა და დასაქმებას განაპირობებს.

მე გარდამეცვალა ერთადერთი შვილი ირაკლი ქემოკლიძე,ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის ფუძემდებელი ,რომლის სარჩელის საფუძველზეც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ქმედუუნარობის შემზღუდველი სისტემა საქართველოში. ირაკლი იყო დედასთან ერთად საწარმოს დამფუძნებელი. მისი გარდაცვალების შემდეგ სახელოსნოს დაერქვა სხივი-ირაკლის ხის სახელოსნო.

ირაკლი ქემოკლიძემ სამოქალაქო აქტივიზმისა და თავდადების მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა. 2014 წლის,8 ოქტომბერი,არის მნიშვნელოვანი თარიღი, უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოს პარლამენტარიზმისა და მართლმსაჯულების სისტემის ისტორიაში, როცა ირაკლი ქემოკლიძემ საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართა.

ირაკლი ქემოკლიძე იყო პირველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი,რომელმაც მსოფლიო მასშტაბის საქმე მოიგო საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,იბრძოლა, იმისთვის,რომ ქვეყანაში ცვლილებები მოეტანა.

ირაკლი ქემოკლიძე 2021 წლის 6 თებერვალს გარდაიცვალა.იგი ისტორიაში შევიდა,როგორც პირველი უფლებედამცველი,სამოქალაქო აქტივისტი,მისი დამსახურება დიდია შშმ პირთა უფლებების ადვოკატირების საქმეში.ირაკლიმ ქემოკლიძემ ბევრი ადამიანის ცხოვრება შეცვალა უკეთესობისკენ.

სწორედ ირაკლი ქემოკლიძის, სარჩელი და საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილება გახდა ქვეყანაში რეფორმის,სოციალურ მოდელზე გადასვლის საფუძველი, მხარდაჭერის მიმღებ პირებს დაუბრუნდათ სამოქალაქო უფლებები, მათ შორის, არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ, 2014 წლის 8 ოქტომბერს N2/4/532014 მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც, ფსიქიკური და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა მიმართ, არსებული ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არაკონსტიტუციურად სცნო. ამ სასამართლო გადაწყვეტილებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში გახმაურებელი ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების დაწყებას.

2013 წელს საქართველოს პარლამენტმა შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, რომლის მე-12 მუხლის მიხედვით, ადამიანის ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაუშვებელია.მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, სამართლის სუბიექტად აღიარებაზე, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი .

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტი დაავალდებულა, შეემუშავებინა და მიეღო საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან, ასევე გაეროს "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის"მოთხოვნებთან. საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტს 6 თვე განუსაზღვრა გასაჩივრებული საკანონმდებლო ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის მარტს მიიღო 36-მდე კანონში შესატანი ცვლილებათა პაკეტი.

სწორედ ირაკლი ქემოკლიძის სარჩელი და სასამართლო გადაწყვეტილება გახდა ქვეყანაში ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და სოციალურ მოდელზე გადასვლის საფუძველი.

ირაკლი ქემოკლიძემ თავისი შეუპოვრობით, შშმ პირთა უფლებების ადვოკატირებით, სამოქალაქო აქტივიზმით,დაამტკიცა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ამით დიდ და მასშტაბურ ცვლილებებს ჩაუყარა საფუძველი საქართველოში.

ირაკლი ქემოკლიძე 2021 წლის 6 თებერვალს გარდაიცვალა, მაგრამ მის ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია, ირაკლი ქემოკლიძის სახელი და დამსახურება იმდენად დიდია შშმ პირთა უფლებების დაცვის სფეროში,რომ მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა და მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია!

შშმ პირთა უფლებების დაცვისა და გამორჩეული სამოქალაქო აქტივიზმისთვის, როგორც უფლებადამცველი და სამოქალაქო აქტივისტი, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გარდაცვალების შემდეგ, 2021 წლის 10 დეკემბერს,ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, დაჯილდოვდა ღირსების მედლით .

ირაკლი ქემოკლიძე ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველას გამზირზე N 73,1-ლი ბ -კორპუსში, ვაჟა-ფშაველას

კომისიამ,განიხილოს ქუჩის ან სკვერის სახელდების საკითხი. ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან მდებარე სკვერს, სადაც ირაკლი ყოველდღე სეირნობდა ან საცხოვრებელ სახლთან რომელიმე ქუჩას,მაგალითად მარიჯანის ან მის პარალელურ ქუჩას, ირაკლი ქემოკლიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ეწოდოს ირაკლის ქემოკლიძის სახელი.

წინასწარ გიხდით მადლობას,იმედი მაქვს თქვენი მხარდაჭერისა.

პატივისცემით,
მაია ასაკაშვილი.

,,სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე
ბავშვთა დახმარების ასოციაციის''
თავმჯდომარე.

# განკარგულება

N07/12/01 2021 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი

## ირაკლი ქემოკლიძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხებისადმი საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებისა და მტკიცე სამოქალაქო პოზიციისათვის **ირაკლი ქემოკლიძე** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით (სიკვდილის შემდეგ).

10/12/2021 17:03

By
2021 წლის 7 დეკემბრის N 07/12 01
მოწმობა № 04485

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

03-0321773-03

GOV 2 23 00017968

20/06/2023

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

გასაცნობად და შემდგომი რეაგირების მიზნით გიგზავნით 2023 წლის 31 მაისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შემოსულ განცხადებას. განცხადების თანახმად, მოქალაქე მოგვმართავს თხოვნით, მხარი დავუჭიროთ მის ინიციატივას, რომ თბილისში მდებარე ერთ-ერთი სკვერი სრულად ადაპტირდეს შშმ პირთათვის და 2021 წელს გარდაცვლილი, შშმ აქტივისტის, ირაკლი ქემოკლიძის სახელი ეწოდოს.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მიესალმება და მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივას.

პატივისცემით,

ნიკო თათულაშვილი

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის
უფლებათა დაცვის საკითხებში

10/03231/6615-03


**კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის**

Coalition For Independent Living


**რეკომენდაცია**

**09.06.2023**
**1-230609-2**

ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას
ასლი: „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციას"

„ კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" განიხილა „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის" წერილი,რომელიც ეხებოდა ქალაქ თბილისში,ადაპტირებული სკვერის გახსნისა და კოალიციის წევრი ორგანიზაციის აქტიური წევრის, სამოქალაქო აქტივისტისა და უფლებადამცველის ირაკლი ქემოკლიძის სახელის მინიჭებას.

„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" აერთიანებს 30 - მდე შშმ პირთა ორგანიზაციას,ვეთანხმებით ამ მნიშვნელოვან ინიციატივას და რეკომენაციას ვუწევთ ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, თბილისში გაიხსნას თანამედროვე, უნივერსალური დიზაინის სკვერი, რომელიც იქნება სივრცე ყველასთვის, სივრცე დასვენების,ღონისძიებების მოწყობისა და ამ სკვერს ირაკლის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მისი განვლილი ცხოვრებისა და დამსახურების გამო, მიენიჭოს ირაკლი ქემოკლიძის სახელი.

პატივისცემით,

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
თავმჯდომარე: გიორგი ძნელაძე

კოალიცია დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის • COALITION FOR INDEPENDENT LIVING • 205005162

**ირაკლი ქემოკლიძე**

**(1989-2021)**

**შშმ პირთა უფლებადამცველი და სამოქალაქო აქტივისტი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით**

ირაკლი ქემოკლიძე იყო პირველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელმაც საქმე მოიგო საკონსტიტუციო სასამართლოში. მისი სარჩელის საფუძველზე განხორციელდა რეფორმა, რომლითაც მხარდაჭერის მიმღებ პირებს დაუბრუნდათ სამოქალაქო უფლებები, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

შშმ პირთა უფლებების  დაცვისა და გამორჩეული სამოქალაქო აქტივიზმისთვის, როგორც უფლებადამცველი და სამოქალაქო აქტივისტი, გარდაცვალების სემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2021 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.